

წარმატების 10 „ფორმულა“

1

ბილ ბოუსი

წარმატების მისაღწევად საჭიროა, წარმატების სურვილი იყოს იმაზე ძლიერი, ვიდრე მარცხის შიში.

2

დუეინ ჰონსონი

წარმატება არ მოდის ერთ დღეში, ეს ხდება მაშინ, როცა შენ ხდები ყოველდღე იმაზე უკეთესი, ვიდრე იყავი ერთი დღით ადრე.

3

თეოდორ რუზველტი

დამარცხება ცუდია, მაგრამ ბევრად უფრო ცუდია, თუ წარმატება არასოდეს გიცდიათ.

4

ჯეისონ მრაზი

თქვენ არ ხართ ვალდებული, რომ გაიმარჯვოთ, თუმცა ვალდებული ხართ, მუდმივად ცდილობდეთ ყოველდღიურად აკეთოთ იმის მაქსიმუმი, რაც შეგიძლიათ.

5

ნაკოლეონ ჰილი

რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში მიდიხართ წარმატებისკენ, მით უფრო ახლოსაა იგი. ძალიან ბევრი წყვეტს წინსვლას მაშინ, როცა გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯია დარჩენილი, დაიმახსოვრეთ, ამ ნაბიჯს თქვენ მაგივრად სხვები გადადგამენ.

6

რობერტ კიოსაკი

წარმატებულ ადამიანებს დამარცხების არ ეშიათ, წარუმატებელთ კი ეს ცნება, ყველაზე მეტად აშინებთ. დამარცხება წარმატების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ადამიანები, რომლებიც დამარცხებას თავს არიდებენ, წარმატებასაც თანდათან შორდებიან.

7

შარლ დე გოლი

ყოველთვის რთული გზა აირჩიეთ, ამ გზაზე კონკურენტებს ვერ შეხვდებით.

8

ჰოვარდ შულცი

მარცხი შეიძლება მოვიდეს მოულოდნელად, მაგრამ წარმატება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოდის მხოლოდ მათთან, ვინც ამას გეგმავს.

9

მარტინ ლუთერ კინგი

თუ ფრენა არ შეგიძლია, გაიქეცი! თუ ვერ დარბიხარ, იარე! თუ სიარულის ძალაც გამოგელია – იხოხე, ოღონდ არასოდეს შეწყვიტო წინსვლა.

10

სვამი შივანადა

ყველაზე უმნიშვნელო საქმეშიც კი მთელი გული, გონება, ცოდნა და გამოცდილება ჩააქსოვე – წარმატების საიდუმლოც სხვა არაფერია.

